

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

1. კანონის მიზანია:

ა) სამართლებრივად უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და გააუმჯობესოს აგრარული სტრუქტურა;

ბ) თავიდან იქნეს აცილებული მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება და არარაციონალური გამოყენება.

2. კანონი განსაზღვრავს:

ა) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა და საადგილმამულო მეურნეობების შექმნისა და გასხვისების წესს;

ბ) სახელმწიფოს მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე.

2. კანონი მოქმედებს აგრეთვე;

ა) ნაკვეთებზე და ნაკვეთის ნაწილებზე, თუ ისინი მდებარეობენ დასახლებულ პუნქტებში და მიეკუთვნებიან საადგილმამულო მეურნეობას;

ბ) განაშენიანების ზონაში მდებარე ნაკვეთებზე, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ შეცვლილა;

გ) ტყის ფონდის იმ მიწებზე, რომლებიც შეივსოს სოფლის მოსახლეობის მიწის ნაკვეთები.

მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ცნება

1. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მცხოვრებლობის პროდუქციის წარმოებისთვის - მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებითან მათგარეშე.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება ასევე:

ა) კომლის (ოჯახის) საკუთრების წილი სოფლის, თემის, იურიდიული პირების სამოვრების, სათიბების, ტყეების ტერიტორიებზე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

მუხლი 4. საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის ცნება

1. საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობა დითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადაამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს.

2. საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობა დამოიხრევა აგრეთვე მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა და სააგარაკონაკვეთი, თუმისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს.

3. საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო ურიდიული პირის სახით.

4. საკომლო მეურნეობა არის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა, რომელიც ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას, აგრეთვე შეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების თანასაკუთრებას წარმოადგენს.

5. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იყოს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა შეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა. საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი თანამესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული.

მესამე პირებთან ურთიერთობაში საკომლო მეურნეობის სახელით გამოდის ერთ-ერთი თანამესაკუთრე, რომელსაც დანარჩენი მესაკუთრეები მინიჭებენ ამგვარ უფლებამოსილებას. ეს პირი საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) შეიტანება საკომლო მეურნეობის თავკაცად.

6. იურიდიული პირი, რომელიც ეწევა შერეული სახის საქმიანობას, ჩაითვლება საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად, თუ იგი შემოსავლის ნახევარზე მეტს იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით.

მუხლი 5. სოფლის მეურნის ცნება

1. სოფლის მეურნე დითვლება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ძირითადად შემოსავალს (შემოსავლის ნახევარზე მეტს) იღებს ამ საქმიანობისაგან და ამოუკიდებლად უმდგვება საადგილმამულო მეურნეობას, იმის განურჩევლად, იგი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა თუ ეს ნაკვეთი ხელშეკრულებითაქვს აღებული.

2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. საქართველოს მოქალაქეობის არამქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიეცემა მხოლოდ იჯარით.

3. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სოფლის მეურნის სტატუსს ანიჭებს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) რეგისტრაციით.

4. სოფლის მეურნის სტატუსი უქმდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) ჩანაწერის განუახლებლობის საფუძველზე.

5. სოფლის მეურნის სტატუსის მინიჭება განახლება და გაუქმება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული

ურთიერთობების კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო-სამართლებრივი) შეზღუდვა

მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების უფლება

1. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვიება დაშვებულია ჩვეულებრივი წესით, ასევე ზოგადი შეზღუდვებით, სპეციალური ნებაართვის საფუძველზე.

2. სოფლის მეურნის სტატუსის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარიგებების დროს გასხვიების ნაბართვა საქირო არ არის.

მუხლი 7. მემკვიდრეობა

1. მემკვიდრეობა საკომლო მეურნეობაში იხსნება კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალებისას.

2. თუ საკომლო მეურნეობა ერთი პირის საკუთრებაა, მესაკუთრეს შეუძლია ანდერძით გადასცეს მეურნეობა სხვა პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრისათვის გათვალისწინებული პირობებს და ვალდებულია შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრისათვის ამკანონით განსაზღვრული მოვალეობები.

3. ამკანონის მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტში ჩამოთვლილი საკომლო მეურნეობის ერთ-ერთი მესაკუთრის გარდაცვალებისას სამკვიდრო ქონება გადადის გარდაცვლილის მემკვიდრეზე.

4. თუ საკომლო მეურნეობა ერთი პირის საკუთრებაა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობები არ არსებობს, მისი გარდაცვალებისას ეს მეურნეობა გადაეცემა შემდეგი რიგით:

1) სამკვიდროს და მტოვებლის შვილს;

თუ საკომლო მეურნეობის მემკვიდრეობით მიღების სურვილს განაცხადებს რამდენიმე მემკვიდრე, უპირატესობა მიენიჭება იმ მემკვიდრეს, რომელიც:

ა) უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სამკვიდროს და მტოვებელთან ერთად უძღვებოდა საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობას და განაგრძობს ამ საქმიანობას სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის.

ბ) სამკვიდროს და მტოვებლის სიცოცხლეში არ უძღვებოდა საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობას, მაგრამ აქვს გამოცდილება და შესწევს უნარი გაუძღვეს მეურნეობას. თუ ამ რიგის მემკვიდრე რამდენიმეა, უპირატესობა მიენიჭება იმას, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცხოვრობს ამ საკომლო მეურნეობაში.

2) სამკვიდროს და მტოვებლის მეუღლეს;

3) სამკვიდროს და მტოვებლის მშობლებს, თუ სამკვიდროს და მტოვებელმა საკომლო მეურნეობა მიიღო მშობლებისაგან ან მათი სახსრებით შეიძინა.

4) სამკვიდროს და მტოვებლის და-ძმას და მათ შვილებს იმ რიგის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი რიგის მემკვიდრეებისთვის.

5. თუ სამკვიდროს და მტოვებლის მემკვიდრე დრჩება არასრულწლოვანი შვილი, მისი მეურვეები მოვალენი არიან ბავშვის სრულწლოვანებაამდე გაუძღვენ მეურნეობას. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ შვილი დამოუკიდებლად წყვეტს მეურნეობის გამდიდრის საქიბს.

6. თუ სამკვიდროს იღებს უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, მან მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთი უნდა გაასხვიოს ამკანონით დადგენილი წესით.

7. თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისთვის საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი იჯარითაა გაცემული, მაშინ მემკვიდრეს, რომელსაც ურს თვითონ გაუძღვეს მეურნეობას და შესწევს ამის უნარი, შეუძლია ერთი წლითადრე გააფრთხილოს მოიჯარე და მისი თანხმობის შემთხვევაში მოშალოს იჯარის ხელშეკრულება.

8. იმ პირებს, რომლებმაც შემკვიდრეობით ვერ მიიღეს საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება. კომპენსაციის სახესა და ოდენობას განსაზღვრავენ შემკვიდრეები ურთიერთშეთანხმებით. დავის შემთხვევაში, კომპენსაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

კომპენსაციის სიდიდის განსაზღვრისას აუცილებელია, რომ იგი საფრთხეს არ უქმნიდეს საადგილმამულო მეურნეობის სიცოცხლის უნარიანობას.

მუხლი 8. გასხვისება თაზოგადი შეზღუდვა

1. მესაკუთრეს, რომელიც საადგილმამულო მეურნეობას უძღვება ამკანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული პირობებთან ერთად, შეუძლია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ან საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა, ან დასაერთო საკუთრების თავისი წილი გაასხვისოს მხოლოდ ამ პირთა თანხმობით. თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიალური წესით. თუმესაკუთრე ვერ მიიღებს ასეთ თანხმობას, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 9. გამოსყიდვის სახელმეკრულებო უფლება

გამსხვისებელს შეუძლია შეუთანხმდეს შემძენს მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის უფლებაზე იმ შემთხვევისათვის, როცა შემძენი თავს დაანებებს მიწის დამუშავებას. თუ შემძენმა მიწის დამუშავებას თავი დაანება გამსხვისებლის გარდაცვალების შემდგომ, გამსხვისებლის იმ შემკვიდრეს, რომელსაც სურს თვითონ დაამუშაოს მიწა, შეუძლია დამოუკიდებლად ისარგებლოს გამოსყიდვის უფლებით.

მუხლი 10. მოიჯარის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება

1. საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის გასხვისებისას მოიჯარეს აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ ათი წელია თვითონ უძღვება ამ მეურნეობას.
2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გასხვისებისას მოიჯარეს აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება, თუ მოიჯარე უკვე არის სხვა საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის მესაკუთრე ან უძღვება ასეთ მეურნეობას და იჯარითაღებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს მისი მეურნეობის მომიჯნავე ტერიტორიაზე.

მუხლი 11. საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება

1. საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობაზე საერთო საკუთრების წილის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელსაც სურს თვითონ გაუძღვეს მეურნეობას.
2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საერთო საკუთრების წილის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელიც არის საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის მესაკუთრე ან უძღვება ასეთ მეურნეობას და შესამძენი ნაკვეთი მდებარეობს მისი მეურნეობის მომიჯნავე ტერიტორიაზე.

მუხლი 12. სახელმწიფოს მიერ უპირატესი გამოსყიდვის უფლება

1. სახელმწიფოს აქვს საადგილმამულო ფონდის მეშვეობით უპირატესი გამოსყიდვის უფლება.
2. სახელმწიფოს მიერ უპირატესი გამოსყიდვის უფლება არ გამოიყენება, როცა:
 - ა) მესაკუთრის შვილს სურს მიიღოს საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობა და დამოუკიდებლად გაუძღვეს მას;
 - ბ) მესაკუთრე გარდაიცვალა და მის შემკვიდრეს სურს დამოუკიდებლად გაუძღვეს საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობას;

გ)მესაკუთრემ საადგილმამულო (ფერმერული)მეურნეობა ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გაასხვისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ან იმუღებთჩამოერთვა .

3.თუმესაკუთრეს რჩება ქმედუნარო მემკვიდრეები,გამოსყიდვის უფლების გამოყენება არ შეიძლება მანამ,სანამ არ დადგინდება,შეუძლია თუ არა მემკვიდრეს დამოუკიდებლად გაუმღვეს მეურნეობას .

მუხლი 13.უპირატესი გამოსყიდვის უფლების ვადა

უპირატესი გამოსყიდვის უფლება უქმდება ერთი თვის ვადაში იმ დღიდან,როცა უფლებამოსილმა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო,რომ მესაკუთრე თავს ანებებს მეურნეობის გამღლას .

მუხლი 14.სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ღირებულება გასხვისებისას

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი განისაზღვრება საბაზრო ღირებულებით,რომელიც მეტი ან ტოლია გამოსყიდვის მომენტისათვის ჩამოყალიბებული და ოფიციალურად დაფიქსირებული ღირებულებისა .

თავი III

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებული

ურთიერთობების საჯარო-სამართლებრივი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი) მოწესრიგება

მუხლი 15.გარიგებები,რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია სპეციალური ნებართვა

1.სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გასხვისება და ხელშეკრულების საფუძველზე მიწის ნაკვეთის სხვა პირზე გადაცემა საჭიროებს სპეციალურ ნებართვას :

ა)სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებისას (მიზნობრივი გამოყენების შეცვლა);

ბ)მიწის ნაკვეთის განაშენიანების ზონისათვის გადაცემისას,როცა ნაკვეთი არ იქნება გამოყენებული სოფლის მეურნეობისათვის .

2.მიწის ნაკვეთის გასხვისებას უთანაბრდება :

ა)მიწის ნაკვეთზე საერთო საკუთრების წილის სხვისთვის დათობა ან მისი გასხვისება ;

ბ)მიწის ნაკვეთის დატვირთვა უზუფრუქტის უფლებით.უზუფრუქტის წესს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი .

3.გასხვისების მომენტის დადენისათვის გადამწყვეტი პირობაა :

ა)იმ ხელშეკრულების დადება,რომლითაც საკუთრება უნდა გადავიდეს შემძენზე ;

ბ)მიწის ნაკვეთის ამღების დაწყება ;

გ)მიზნობრივი გამოყენების შეცვლისას ის გარემოება,რომლითაც უფლებამოსილ პირს ნება ეძლევა არასასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის გამოყენოს მიწა ან მესაკუთრის ის ქმედება,რომელიც იწვევს ნაკვეთის მიზნობრივი გამოყენების შეცვლას ;

დ) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის განაშენიანების ზონისათვის გადაცემის დაწყება.

მუხლი 16. გასხვისების ნებართვის გამცემი ორგანო-განაცხადით მიმართვის უფლების მქონე პირები

1. გასხვისების ნებართვის გაცემის გადაწყვეტილებას იღებს მიწის შესაბამისი სახელმწიფო სამსახური, თუ საკითხი არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას.
2. ნებართვის მისაღებად განაცხადით მიმართვის უფლება აქვთ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს და იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც იდება ეს ხელშეკრულება.

მუხლი 17. ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება

1. ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ერთ თვეში განაცხადის შემოსვლის დღიდან. თუ ამ კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტში დასახელებული ორგანო ამ ვადაში ვერ მოასწრებს განაცხადის შემოწმებას და ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, მაშინ მანახსნა-განმარტება უნდა მისცეს განმცხადებელს და ამასთანავე ამცნოს, რომ ნებართვის გაცემის ვადა კიდევ ერთი თვით გაგრძელდა.
2. თუ ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ვერ მიიღეს, მაშინ ნებართვა გაცემულად ითვლება და ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შეუძლია თანახორციელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები.
3. უარი ნებართვის გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. გასაჩივრების უფლება აქვთ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს და იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც იდება ეს ხელშეკრულება.
4. თუ გაცემულ ნებართვას არ ეთანხმება ნებართვის გამცემი ორგანოს ზემდგომი ორგანო, მაშინ მას ასევე ერთი თვის ვადაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ნებართვის შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნით.
5. თუ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში დასახელებული პირები არ გამოყენებენ გასაჩივრების უფლებას, გასაჩივრების ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება ითვლება ძალაში შესულად.

მუხლი 18. საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) გასხვისებისა და

ნებართვის რეგისტრაციის ვალდებულება

საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) შეიტანება როგორც გარიგება, რომელიც გასხვისების საფუძველი გახდა, ასევე ნებართვა. ნებართვა საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) შეიტანება მხოლოდ მაშინ, როცა გავამისი გასაჩივრების ვადა და ნებართვის გაცემის გადაწყვეტილება უკვე ძალაშია შესული.

მუხლი 19. ნებართვის გაცემისას შეზღუდვა

1. ნებართვის გაცემაზე უარი შეიძლება ითქვას, თუ:
 - ა) სივრცობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული მიწის ნაკვეთი გასხვისების შედეგად კატარავდება ხუთჰექტარზე ნაკლებად;
 - ბ) ნაკვეთი გამოყენებული იქნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.
2. აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, გარდა უშუალოდ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ნებაართვის გაცემის აკრძალვა არ გამოიყენება :

ა) რაციონალური მიწათსარგებლობის პირობების შექმნისას, რომელსაც ახორციელებენ სათანადო სახელმწიფო ორგანოები;

ბ) რეკვიზიციისას;

გ) იმ უღებითი აღსრულებისას.

მუხლი 20. სანქციები მიწის და უმუშავე ხლობისათვის

1. იმ მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არამუშავე ხლობის, არიხდის მიწათსარგებლობისათვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვება მეურნეობას და ასეთ შემთხვევაში იჯარითაც არ გასცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

2. მიწის ნაკვეთის შემძენ პირს ეკისრება იგივე ვალდებულებები, რაც საადგილმამულო მეურნეობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ამ კანონით.

მუხლი 21. გარიგებათა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შედეგები

1. გარიგება, რომელიც არ შეესაბამება მე-19 მუხლის მოთხოვნებს ან გასხვიების გარიგებათა შესახებ ამ კანონით გათვალისწინებულ პირობებს, ბათილია.

2. ნებაართვის გამცემ ორგანოს შეუძლია გააუქმოს თავისი გაცემული ნებაართვა, თუ იგი გაიცა მიწის ნაკვეთის შემძენის მიერ წარმოდგენილი ყალბი მონაცემების საფუძველზე.

თუ გასულია ათი წელი საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) გარიგების რეგისტრაციიდან, ნებაართვის გამცემ ორგანოს არაქვს ამ ნებაართვის გაუქმების უფლება.

3. თუ საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) რეგისტრირებულია გარიგება, რომელიც შემდგომში ბათილია დიქნაცნობილი, ნებაართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) შესწორების შეტანა. შესწორების შემდეგ ნებაართვა უქმდება.

4. საადგილმამულო (ფერმერული) მეურნეობის ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შესაბამისად ჰიპოთეკა და ანგირაოდ გამოყენება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. წესები, რომლებიც არარის განსაზღვრული ამ კანონით, რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1996 წლის 22 მარტი.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, აპრილი, 1996წ., 1007) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3.5 პუნქტები:

"3. მაღალმთიან რეგიონებში მიწა შეიძლება იყოს კერძო, სათემო და სახელმწიფო საკუთრებაში.

4. მაღალმთიანი რეგიონების სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს სათემო ტრადიციები, მოქმედებს სამოვრების ფლობის სათემო წესი.

5. სამოვრები მაღალმთიან რეგიონებში საერთო სასოფლო და სათემო საკუთრებაა. სოფლებს შორის სამოვრების საზღვრები დგინდება ტრადიციულად არსებული მიჯნით, მოსაზღვრე სოფლების საკრებულოების შეთანხმების საფუძველზე. უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო. სათიბები არის საკომლო საკუთრება, მათ კომლთა შეთანხმების საფუძველზე ანაწილებს საკრებულო".

2. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:

"6. სოფლის ყოფილ მუდმივად მცხოვრებ პირთაგან მსურველებს სოფელი ან თემი აძლევს სოფელში უკან დაბრუნების საშუალებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სათიბი ფართობის გამოყოფით. დაცლილ სოფლებში დასახლების საკითხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთობლივად წყვეტენ სადაბო და სასოფლო თვითმმართველობის ორგანოები.

7. სოფლის საკრებულო ახლად დასახლებულებს ფინანსურ დახმარებას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ფონდიდან, რომელიც იქმნება შემოწირულობების, ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის, სამოვრების გაქირავების, სხვადასხვა საწარმოო საქმიანობის, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯზე".

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

"3. დედოფლისწყაროს და მარნეულის რაიონების ტერიტორიაზე ზამთრის სამოვრების განსაზღვრული ფართობი მუდმივი სარგებლობისათვის გადაეცემა ახმეტის, თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებს. შესაბამისად, დედოფლისწყაროს, მარნეულისა და წალკის რაიონებს ახმეტის, თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების მაღალმთიან რეგიონებში მუდმივი სარგებლობისათვის გადაეცემათ საზაფხულო სამოვრები.

4. მაღალმთიან რეგიონებში არსებული ეროზიული მიწების დაცვისა და აღდგენისათვის სახელმწიფო გამოყოფს მიზნობრივ თანხებს".

4. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები არ ვრცელდება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულია იჯარით ან გადაცემულია საკუთრებაში.

II. ეს კანონი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1999 წლის 9 ივნისი.

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, '007, 30.04.96, გვ.16) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, კომლს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელიც თავის ძირითად საქმიანობას ახორციელებს სოფლის მეურნეობის სფეროში.“;

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკომლო მეურნეობა არის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ერთი ფიზიკური პირის საკუთრებას ანდა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებას.

5. საკომლო მეურნეობა რეგისტრირებული უნდა იქნეს საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში). თუ ეს მეურნეობა მეუღლეთა ან ოჯახის სხვა წევრების საერთო საკუთრებაა, საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) თითოეული მათგანი საკომლო მეურნეობის თანამესაკუთრედ უნდა იქნეს რეგისტრირებული.“;

დ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5¹ პუნქტი:

„5¹. არსიანისა და აჭარა-იმერეთის ქედებზე არსებული სუბალპური და ალპური საძოვრები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მათ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, 5-5 წლის ვადით, სათანადო ნორმატიული აქტებით, დროებით სარგებლობაში გადასცემს იმ რაიონს, თემს, დაბასა და სოფელს, რომლებიც მოცემულ ტერიტორიებს ტრადიციულად საძოვრებად იყენებდნენ.“;

ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. მესამე პირებთან ურთიერთობაში საკომლო მეურნეობის სახელით გამოდის ერთ-ერთი თანამესაკუთრე, რომელსაც დანარჩენი თანამესაკუთრეები მიანიჭებენ ამგვარ

უფლებამოსილებას. ეს პირი საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) საკომლო მეურნეობის მეთაურად უნდა იქნეს რეგისტრირებული.“;

ვ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გასხვისების ზოგადი შეზღუდვა

მესაკუთრეს, რომელიც საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობას უძღვება მეუღლესთან ან ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, შეუძლია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ან საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობა ანდა საერთო საკუთრების თავისი წილი გაასხვისოს მხოლოდ მათი თანხმობით. თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით. თანხმობის მიღებაზე უარი შეიძლება ითქვას მხოლოდ საპატიო მიზეზის არსებობისას. თუ მესაკუთრე ვერ მიიღებს თანხმობას, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს.“.

4. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 მუხლი:

„მუხლი 9. გამოსყიდვის სახელშეკრულებო უფლება

მიწის ნაკვეთის გასხვისებისას გამსხვისებელს შეუძლია შეუთანხმდეს შემძენს მის გამოსყიდვაზე იმ შემთხვევისათვის, როცა შემძენი თავს დაანებებს მიწის დამუშავებას. თუ შემძენმა მიწის დამუშავებას თავი გამსხვისებლის გარდაცვალების შემდეგ დაანება, გამოსყიდვის უფლებით დამოუკიდებლად სარგებლობა შეუძლია გამსხვისებლის იმ მემკვიდრეს, რომელსაც სურს თვითონ დაამუშაოს მიწა.“.

5. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. მოიჯარის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება

1. საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს მოიჯარეს, თუ იგი თვითონ უძღვება ამ მეურნეობას.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს მოიჯარეს. მოიჯარის მიერ შესყიდვაზე უარის თქმის შემთხვევაში ამ მიწის ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს მისი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ან/და მოიჯარეს.“.

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 მუხლები:

„მუხლი 11. საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება

1. საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობაზე საერთო საკუთრების წილის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელსაც სურს თვითონ გაუძღვეს ამ მეურნეობას.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საერთო საკუთრების წილის გასხვისებისას უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელიც არის საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობის მესაკუთრე ან უძღვება ასეთ მეურნეობას და შესაძენი მიწის ნაკვეთი მისი მეურნეობის მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუხლი 12. სახელმწიფოს მიერ უპირატესი გამოსყიდვის უფლება

1. საქართველოს მიწის ბაზრის რეგულირების, მიწების გამოყენებისა და დაცვის, მათი ნაყოფიერების აღდგენისა და შენარჩუნების პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს საადგილმამულო ფონდი. საადგილმამულო ფონდის მეშვეობით უპირატესი გამოსყიდვის უფლება აქვს სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ შემთხვევებში.

2. სახელმწიფოს მიერ უპირატესი გამოსყიდვის უფლება არ გამოიყენება, თუ:

ა) მესაკუთრის შვილს სურს მიიღოს საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობა და დამოუკიდებლად გაუძღვეს მას;

ბ) მესაკუთრემ საადგილმამულო (საკომლო) მეურნეობა ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გაასხვისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ან იგი მას იძულებით ჩამოერთვა.

3. თუ მესაკუთრეს რჩება ქმედუუნარო მემკვიდრე, სახელმწიფოს მიერ უპირატესი გამოსყიდვის უფლება არ გამოიყენება მანამ, სანამ არ დადგინდება, შეუძლია თუ არა მემკვიდრეს, დამოუკიდებლად გაუძღვეს მეურნეობას.“

7. მე-19 მუხლის ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. აკრძალულია მიწის ნაკვეთის გასხვისება, თუ გასხვისების შედეგად დარჩენილი ფართობი 5 ჰექტარზე ნაკლები იქნება.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,

2003 წლის 20 ივნისი.

**„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1007, აპრილი, 1996 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და საადგილმამულო მეურნეობების“.
2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები „მიეკუთვნებიან საადგილმამულო მეურნეობას“ შეიცვალოს სიტყვებით „გამოიყენებიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად“.
3. მე-3 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში)“ შეიცვალოს სიტყვებით „საჯარო რეესტრში“.
4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. საკუთრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში აქვს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს ფიზიკურ პირს, კომლს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.“
5. მე-3 მუხლის მე-3⁵ პუნქტები ჩაითვალოს მე-4 მუხლის მე-3⁵ პუნქტებად, ხოლო მე-5 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები - მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებად.

6. მე-5 მუხლის პირველი, მე-2⁵ პუნქტები ამოღებულ იქნეს.

7. მე-6 მუხლის:

- ა) პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სპეციალური ნებართვის საფუძველზე“;
- ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

8. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გასხვისებათა ზოგადი შეზღუდვა და საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება

თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, მაგრამ საზიარო მიწის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. წილის გაყიდვისას სხვა მოწილეებს აქვთ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება."

9. მე-9, მე-11, მე-12, მე-14-18 მუხლები ამოღებულ იქნეს.

10. მე-10 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოიჯარეს მიწის ნაკვეთის გასხვისებისას აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება“.

11. მე-13 მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვა „გამოსყიდვის“ შეიცვალოს სიტყვით „შესყიდვის“, ხოლო სიტყვები „ერთი თვის ვადაში“ - სიტყვებით „ორი კვირის ვადაში“.

12. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. აკრძალვები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით

სარგებლობისას და გასხვისებისას

აკრძალულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყენება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

13. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

14. 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 21. გარიგებათა სამოქალაქო სამართლებრივი შედეგები

1. ბათილია გარიგება, რომელიც არ შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს.

2. ურთიერთობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.“

15. 22-ე მუხლში სიტყვა „მე-5“ შეიცვალოს სიტყვით „მე-4“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
2000 წლის 14 ივნისი.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის

თ ა ო ბ ა ზ ე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, #007, 30.04.96, გვ. 16) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. ⁴ თავისა და 22-ე მუხლის სათაურები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გარდამავალი დებულებანი“.

2. 22-ე მუხლის ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და ამავე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ კომლებს (ოჯახებს), რომელთაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკუთვნით მიწის ნაკვეთები, მაგრამ არ გადასცემიათ, მიწის ნაკვეთები კანონმდებლობის შესაბამისად საკუთრებაში გადაეცეთ 2006 წლის 31 დეკემბრამდე.“.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებისათვის საჭირო ფინანსური, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2004 წლის 26 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ¹24(31), 1999 წელი, მუხ.121) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7.

1. ეს კანონი, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან“.

II საქართველოს საგადასახადო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, ¹32, 24 ივლისი, 1997) 273-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 37-ე ნაწილი:

„37. ამ კოდექსის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 47-ე მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები, 143-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი და 158-ე მუხლის პირველი ნაწილის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან“.

III „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონს (პარლამენტის უწყებანი, ¹ 007, აპრილი, 1996) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 თავი:

„თავი IV

გარდამავალი დებულება

მუხლი 22. გარდამავალი დებულება

ამ კანონის მე-5 მუხლის მე-7 და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან“.

IV. „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, ¹33, 31 ივლისი, 1997) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-10 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი“.

2. მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 60. კანონის ამოქმედების ვადა

1. ეს კანონი, 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის გარდა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან“.

V. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 147-48, 31.12.1997) 154-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 წინადადება ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან“.

VI საქართველოს შრომის კანონთა კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., 16, მუხ.118) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2471 მუხლი:

„მუხლი 2471. დასკვნითი დებულება

ამ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილი და 235-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2002 წლის 1 იანვრიდან“.

VII „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, 31-33, მუხ.692) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ელექტრო და“, ხოლო სიტყვები „რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი“ და ამავე ქვეპუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვები: „ელექტროენერჯის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 50 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 75 კვტ სთ-ის ოდენობით“.

2. მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის პირველი აზვაცებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ელექტრო და“, ხოლო სიტყვები „რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი“ და ამავე აზვაციებს ბოლოში დაემატოს სიტყვები: „ელექტროენერჯის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 45 კვტ სთ-ის ოდენობით“.

3. მე-17 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვა „სარგოს“ შეიცვალოს სიტყვებით „თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების“.

VIII „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1-2(33-34) 22 იანვარი, 1997) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ოჯახებისა და მათთან მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების ან ოჯახის შრომისუნარო წევრების განთავისუფლება საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, გაზი და თბონერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი, კოლექტიური ანტენა) გადასახადისაგან, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო. ელექტროენერჯის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 50 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 75 კვტ სთ-ის ოდენობით“.

IX. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, ⁴⁷⁻⁴⁸, 31.12.1997) მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გაზი და თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის საბონენტო გადასახადი, კოლექტიური ანტენა) ფასდაკლება სახელმწიფოს ხარჯზე - ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 45 კვტ სთ-ის ოდენობით. საცხოვრებელი ფართობის ქირის შეღავათები უწესდება პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო ფონდის სახლში“.

X. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994-1995, ²³⁻²⁶, მუხ.559) მე-17 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვების „50 პროცენტს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების გარდა“.

XI. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993, ⁹, მუხ.187) 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პოლიციის თანამშრომელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან ეძლევა საცხოვრებელი ბინა ან სახლი და რიგგარეშე ედგმება ტალეფონი. ბინის კომუნალური მომსახურების ქირას (დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების გარდა) და ტელეფონის გადასახადს იგი იხდის ორმოცდაათპროცენტაინი ფასდაკლებით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო“.

XII. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, ²⁵⁻²⁶, 15.07.1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში სიტყვა „საზღაურის“ შეიცვალოს სიტყვებით „თანამდებობრივი და სამხედრო ან სპეციალური წოდების სარგოების“.

2. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „დახარჯული ელექტროენერგიის“.

XIII. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, ⁴⁵, 21.11.1997) 137-ე მუხლის მე-2 პუნქტში რიცხვი „2000“ შეიცვალოს რიცხვით „2001“.

XIV. „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992, ², მუხ.100) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ამ კანონის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან“.

XV. „სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოების სამსახურებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებები, ^{27-28/4}, 21 ნოემბერი, 1996) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-10 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „ყოველთვიური“, ხოლო სიტყვა „სარგო“ შეიცვალოს სიტყვით „სარგოები“.

2. 48-ე მუხლის პირველ პუნქტში და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვა „სარგო“ შეიცვალოს სიტყვით „სარგოები“.

XVI. პერსონალური პენსიონერებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ, ასევე ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში მონაწილე პირებისა და ოჯახის იმ წევრების მიერ, რომლებიც მარჩენალის პენსიას იღებენ, ასევე იმ ოჯახების მიერ, რომლებიც იღებენ პენსიას ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგად მარჩენალის დაკარგვისათვის, ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 45 კვტ სთ-ის ოდენობით.

XVII. ამ კანონით დაწესებული ლიმიტის ზევით მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადს აბონენტი (ოჯახი) იხდის სრული ოდენობით.

XVIII. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1999 წლის 24 დეკემბერი.